პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 31-ე წელი

ოთხშაბათი, 4 აპრილი, 1951 წ. № 79 (8933). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთშია:

შემოქმედებითი შრომა სამშობლოს საკეთილდღეოდ — „პრავდის" 8/IV მოწინავე (1-ლი გვერდი).
ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).
კიროვის ქარხანა 150 წლისაა (1-ლი გვერდი).
პარტიული კრება კომუნისტების აღზრდის სკოლაა (მე-2 გვერდი).
მისალმებათა ნაკადი ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი (მე-2 გვერდი).
ა. თომაძე — მეცხვარეებთან (მე-2 და მე-3 გვერდი).
საქალაქო საბჭო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი (მე-3 გვერდი).
ბოლშევიკური პარტიის [illegible] მოღვაწე მ. თ. ვლადიმირსკი (მე-4 გვერდი).
ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა წინასწარი თათბირი (მე-4 გვერდი).
კორეის ამბები (მე-4 გვერდი).
ვაშინგტონის თათბირის გარშემო (მე-4 გვერდი).

შემოქმედებითი შრომა სამშობლოს საკეთილდღეოდ

დღეს ჩვენი ქვეყანა აღნიშნავს ლენინგრადის კიროვის ქარხნის 150 წლისთავს. სამშობლოს [illegible]

[illegible]

... ლად გამოყენებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში დგას ამჟამად ოთხგზის ორდენოსანი კიროვის ქარხნის კოლექტივი.

კიროვის ქარხანამ ვადამდე შეასრულა გასული წლის საწარმოო გეგმა და 1949 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაადიდა ტრაქტორების გამოშვება, ფოლადის გამოდნობა, ნაგლინის წარმოება. გადამეტებით შესრულებულია აგრე- ...

... დებით შრომას ეწევიან, მთელ თავის ძალღონეს ახმარენ სოციალისტური სამშობლოს კეთილდღეობას. ლენინ-სტალინის პარტიისადმი უსაზღვროდ ერთგული ჩვენი მუშები, ინჟინრები და ტექნიკოსები კვლავაც შემოქმედებითი შთაგონებით იშრომებენ საბჭოთა სამშობლოს აყვავებისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

„პრავდის" 8/IV მოწინავე

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტროს ქალაქ ლენინგრადის კიროვის სახელობის ლენინის ორდენოსანი, წითელი დროშის ორდენოსანი და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ქარხნის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

სამშობლოსა და საბჭოთა ხალხის წინაშე თვალსაჩინო დამსახურებისათვის და დაარსების ას ორმოცდამეათე წლისთავთან დაკავშირებით დაჯილდოებულ იქნას სსრ კავშირის სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტროს ქალაქ ლენინგრადის კიროვის სახელობის (ყოფილი პუტილოვის) ლენინის ორდენოსანი, წითელი დროშის ორდენოსანი და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ქარხანა ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1951 წლის 2 აპრილი.

ორდენებითა და მედლებით დაჯილდოება სსრ კავშირის სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტროს ქალაქ ლენინგრადის კიროვის სახელობის (ყოფილი პუტილოვის) ლენინის ორდენოსანი, წითელი დროშის ორდენოსანი და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ქარხნის მუშაკებისა, რომლებმაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ... [illegible]

[illegible]

... დაჯილდოებულ იქნენ: შრომის წითელი დროშის ორდენით ... 160 კაცი; ... „საპატიო ნიშნის" ორდენით ... 310 კაცი; მედლით „შრომითი მამაცობისათვის" — 400 კაცი; მედლით „შრომითი წარჩინებისათვის" — 459 კაცი. (საკდესი).

კიროვის ქარხანა 150 წლისაა

ლენინგრადი, 2 აპრილი. (საკდესი). [illegible]

[illegible]

... დარგის შექმნაში.

კიროველები საბჭოთა ტრაქტორმშენებლობის პიონერები არიან. თბოფიკაციის ტურბინები, ოქროს მოპოვების მძლავრი აგრეგატები, ჰიდროტექნიკური ნაგებობანი რუსეთის ლენინურ-სტალინური ელექტროფიკაციის პირმშოების — ვოლხოვისა და სხვა ...

... მოდგინედ ეუფლებიან ახალ ტექნიკას, ნერგავენ პროგრესულ ტექნოლოგიას, ახორციელებენ საწარმოო პროცესების მექანიზაციასა და ავტომატიზაციას.

მეტალურგებმა აითვისეს მარტენის ღუმელებში ლეგირებული ფოლადების წარმოების მეთოდი (წინათ ფოლადს ელექტროღუმელებში ადნობდ- ...

... ჭოს თავიანთ დეპუტატს, საბჭოთა ხალხის ბრძენ ბელადს ამხანაგ ი. ბ. სტალინს და სიტყვას აძლევენ, რომ ღირსეულ წვლილს შეიტანენ დიად სტალინურ მშენებლობათა გეგმების განხორციელებაში, გაამრავლებენ სახელოვან რევოლუციურ ტრადიციებს კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში.

მთავრდება 32-სართულიანი საცხოვრებელი სახლის აგება

მოსკოვის მაღალი შენობებიდან წელს ერთი პირველთაგანი გადაეცემა საექსპლოატაციოდ 32-სართულიანი სახლი კოტელნიკის სანაპიროზე.

31 მარტს მემონტაჟეთა ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობს სტალინური პრემიის ლაურეატი ალექსი ოსეჩკინი, ავიდა სახლის სულ ზემო ნაწილში. ის ამონტაჟებს 40-მეტრიან ლითონის შპილს, რომელიც დააგვირგვინებს ამ გრანდიოზულ შენობას მდინარეების მოსკოვისა და იაუზის ნაპირებზე.

მშენებლებმა ძირითადად უკვე დაამთავრეს ფასადების მოპირკეთება. მხოლოდ სახლის ცენტრალური ნაწილის მოპირკეთებას დასჭირდა 33 ათასი კვადრატული მეტრი კერამიკული ფილა.

შენობის ზემო ნაწილში ამჟამად მუშაობს კალატოზ-მომპირკეთებელთა ბრიგადა, რომელსაც ტიმოთე შინკო მეთაურობს. ის ამთავრებს სხივური დეკორაციული კოშკების მოპირკეთებას, რომლებიც აგვირგვინებენ 25-ე სართულს. ყოველ მათგანზე იდგმება ობელისკები და მხატვრული კერამიკული მორთულობა.

სამშენებლო მოედანმა მიიღო გრანიტის დიდი პარტია. ვარდისფერი და წითელი ეს ქვა მოპოვებულია ჩვენი ქვეყნის მრავალ კარიერზე. ამ ქვის სარტყელს გარს ავლებენ მშენებლები ამჟამად სახლის პირველ ოთხ სართულს.

მოპირკეთების სამუშაოები ფართოდაა გაშლილი შენობის შიგნით. ყველა სართულზე მუშაობენ მეპარკეტეთა, ხუროთა, მებათქაშეთა, მღებავ- ...

[illegible]

... რება შენობის მაღალი ნაწილის მობინადრეებს. სულ აქ განზრახულია 10 კომფორტაბელური ლიფტის დამონტაჟება. ისინი ჩვეულებრივ ამწევ მანქანებზე ექვსჯერ უფრო სწრაფად იმოძრავებენ. (საკდესი).

ქვანახშირის ახალი კომბაინი „უკტ-1"

ხარკოვი, 29 მარტი. (საკდესი). დღეს ქარხანა „მეშახტის სინათლეში" დამთავრდა ქვანახშირის ახალი კომბაინის „უკტ-1"-ის აწყობა. სტალინური პრემიის ლაურეატების ა. დ. გრიდინის, გ. ი. კუდრიაშევის, ა. ი. პიჩუგინისა და ი. ი. ზურცევის კონსტრუქციის ამ მძლავრი მანქანით ხორციელდება ქვანახშირის ამოღებისა და ტვირთვის სრული მექანიზაცია მცირე სიმძლავრის ფენების დამუშავებისას. ახალი აგრეგატის კომპლექსში იმუშავებს საწარმოში მოდერნიზებული სპეციალური ტრანსპორტერი. ყოველივე ეს შესაძლებლობას იძლევა ერთნახევარჯერ და უფრო მეტად გადიდდეს შრომის ნაყოფიერება, თვეულობით მნგრეველ-მტვირთავი განთავისუფლდეს სხვა სამუშაოებისათვის და მიღწეულ იქნას დიდი სიჩქარე.

კონსტრუქტორებმა, ტექნოლოგებმა და სტახანოველებმა შემოქმედებითი თანამშრომლობით დაამუშავეს და დანერგეს ამ მანქანის სერიული გამოშვების შემოკლებული ციკლი. პარალელურად ხდებოდა ნახაზების კორექტირება, ცვლილებათა შეტანა და მზადდებოდა აღჭურვილობა. წარმოების კომპლექსური მომზადების შედეგად ოლმოიფხვრა დაშორება ტექნოლოგიური პროცესების დამუშავებასა და დეტალების გამოშვებას შორის. თვენახევრის განმავლობაში დამზადებულია დიდი წარმადობის 700-მდე ხელსაწყო და მოწყობილობა.

წელს ქარხანა „მეშახტის სინათლე" ჩვენი ქვეყნის შახტებისათვის გამოუშვებს ათობით ახალ ასეთ კომბაინს.

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსაგან

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 2 აპრილს დილის 9 საათზე ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი უხუცესი მოღვაწე, მშრომელთა საქმისათვის თავდადებული მებრძოლი, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხანაგი მიხეილ თევდორეს-ძე ვლადიმირსკი.

ამხ. მ. თ. ვლადიმირსკიმ მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა კომუნიზმის დიად საქმეს და მთელი ძალღონე მოახმარა ხალხის კეთილდღეობას. მისი გარდაცვალება მძიმე დანაკლისია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხისათვის

საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისაგან

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით იუწყება ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი უხუცესი მოღვაწის, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ამხანაგ მიხეილ თევდორეს-ძე ვლადიმირსკის გარდაცვალებას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინა შეიქმნას საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარის მ. თ. ვლადიმირსკის დაკრძალვის მამწყობი მთავრობის კომისია შემდეგი ამხანაგების შემადგენლობით: მ. ა. სუსლოვი (თავმჯდომარე), მ. თ. შკირიატოვი, პ. ნ. პოსპელოვი, ა. თ. გორკინი, ს. დ. იგნატიევი, ი. ი. რუმიანცევი და დ. ვ. კრუპინი.

პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელ საკავშირო საზოგადოებაში

2 აპრილს მოსკოვში გაიხსნა პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საკავშირო საზოგადოების გამგეობის პლენუმი.

საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ აკადემიკოსმა ი. ი. არტობოლევსკიმ, რომელმაც სხდომა გახსნა, თქვა, რომ აკადემიკოს ს. ი. ვავილოვის გარდაცვალების გამო პლენუმმა უნდა აირჩიოს საზოგადოების ახალი თავმჯდომარე, და განაცხადა, რომ გამგეობის პრე- ...

[illegible]

მოსიარულე კონვეიერი

როგორც საკდესის კორესპონდენტს სსრ კავშირის დაზგათმშენებლობის სამინისტროში აცნობეს, ხარკოვის მოლოტოვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის კონსტრუქტორმა ამხ. ზაევსკიმ შექმნა მოსიარულე კონვეიერი, რომლის საშუალებით წარმოებს მანქანის მონტაჟი. კონვეიერი პირველად გამოყენებულ იქნა სახეხი დაზგების ასაწყობად და მას მაღალი საექსპლოატაციო თვისებები აღმოაჩნდა. ამას წინათ ასეთი კონვეიერი დადგეს გორკის სამღარვლელო დაზგების ქარხა- ...

... რომლებიც დამონტაჟებულია საამქროს იატაკში. იატაკის ჭრილში ჩამაგრებული ჰიდრავლიკური დომკრატები დროის განსაზღვრულ შუალედებში ასწევენ ხოლმე დაზგებს 2-2,5 სანტიმეტრზე იატაკის დონიდან, მეორე მექანიზმი კი დაზგებს წინ გადასწევს აწყობის შემდგომი ეტაპისაკენ. შემდეგ დაზგებს კვლავ დაუშვებენ იატაკზე.

ახალი მეთოდი საშუალებას იძლევა შეხამებულ იქნას კონვეიერული და სტაციონარული აწყობის ყველა უპი- ...

[illegible]

ახალი მოწყობილობა წნის თავიდან ასაცილებლად

[illegible]

გამოსაშვები გამოცდებისათვის მზადება შრომითი რეზერვების სასწავლებლებსა და სკოლებში

შრომითი რეზერვების სამინისტროს სასწავლებლებში დაიწყო მზადება გამოსაშვები და გადასაყვანი გამოცდებისათვის.

მოსწავლეები იმეორებენ გავლილ მასალას. მათთვის ეწყობა დამატები- ...

[illegible]

(საკდესი).

პარტიული ცხოვრება

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲐ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲖᲠᲓᲘᲡ ᲡᲙᲝᲚᲐᲐ

პარტიული კრება კომუნისტების ბოლშევიკურად აღზრდის კარგ სკოლას წარმოადგენს. ამიტომ განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევთ კრებების მომზადებულად ჩატარებას.

კრების მოწვევის დღის დანიშნამდე ბიუროში იკრიბება პარტიული ორგანიზაციის აქტივი, ვმსჯელობთ იმის შესახებ, თუ როდის მოვიწვიოთ მორიგი პარტიული კრება და რა საკითხები დავაყენოთ განსახილველად. პარტიულ კრებას ვნიშნავთ არასამუშაო საათებში, ე. ი. საღამოთი, და ამის შესახებ სამი დღით ადრე ვაუწყებთ კომუნისტებს.

მას შემდეგ, რაც ვსაზღვრავთ კრების მოწვევის დროს და დღის წესრიგს, ვიწყებთ საკითხების მომზადებას. იმ შემთხვევაში, თუ კრებაზე უნდა განვიხილოთ რომელიმე შედარებით მცირე მოცულობის საკითხი, მაგალითად, პარტიულ ორგანიზაციაში პოლიტიკური სწავლების მდგომარეობა, ბრიგადაში საგაზაფხულო სამუშაოების ან ჩაის ფოთლის კრეფის მიმდინარეობა, მეცხოველეობის ფერმაში არსებული მდგომარეობა და სხვ., მათი შესწავლას ვაკისრებთ 2-3 კაცს. მაგრამ ზოგჯერ განსახილველად დგას შედარებით უფრო ფართო მოცულობის საკითხები, როგორიცაა, მაგალითად, კოლმეურნეობაში ჩაის მწვანე ფოთლის კრეფისათვის მზადება, მოსავლის აღებისათვის მზადება და სხვ., ასეთი საკითხების მომზადებაში მეტი რაოდენობით მონაწილეობენ კომუნისტები. ყოველ ბრიგადაში მდგომარეობის შესასწავლად ვგზავნით 1-2 ამხანაგს და ვუწევთ სათანადო ინსტრუქტაჟს, თუ რა საკითხებზე უნდა გაამახვილონ ყურადღება.

მასალების შეგროვების შემდეგ იკრიბება საკითხის შესწავლის მონაწილე ყველა ამხანაგი და დგება მთელ კოლმეურნეობაში არსებული მდგომარეობის ნათელი სურათი, რომლის მიხედვით კრებისათვის წინასწარ მზადდება გადაწყვეტილების პროექტი.

პარტიული კრება იწყება დანიშნულ დროზე. ჩვენთან აღარ არის კომუნისტების გამოუცხადებლობის გამო კრების გადადების ან დაგვიანებით დაწყების შემთხვევა.

კრების თავმჯდომარისა და მდივნის არჩევის შემდეგ ვამტკიცებთ დღის წესრიგს და ვიწყებთ საკითხების განხილვას. ვცდილობთ ყოველი მოხსენება იყოს მოკლე, კონკრეტულ ფაქტებზე აგებული. მოხსენების შემდეგ იმართება კამათი, რომელშიც აქტიურად მონაწილეობს კომუნისტების უმეტესობა. სიტყვით გამოსული ამხანაგები ბოლშევიკური პირდაპირობით ამხილებენ არსებულ ნაკლოვანებებს. თვითეული საკითხის განხილვისას კამათში 5-6 ამხანაგი მონაწილეობს. არა გვყავს ისეთი კომუნისტი, რომელსაც პარტიულ კრებაზე უძნელდებოდეს თავისი აზრის გამოთქმა. ამას შემდეგნაირად მივაღწიეთ: კომუნისტები, რომელთაც არ შეეძლოთ თავისუფლად მსჯელობა, რამდენჯერმე ჩავაბით სხვადასხვა საკითხების მომზადებაში და დავავალეთ შესწავლილი საკითხების შესახებ მოხსენებით პარტიული კრებისათვის. პირველ ხანებში მათ უჭირდათ კრებაზე გამოსვლა, მაგრამ შემდეგ შეეჩვივნენ აზრის თავისუფლად გამოთქმას.

შარშან ივნისში პარტიულმა კრებამ განიხილა საქართველოს კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომის პლენუმის დადგენილება სასოფლო-სამეურნეო კულტურების დამუშავებისა და მოსავლიანობის გადიდების ღონისძიებათა შესახებ. კამათში 7 კომუნისტმა მიიღო მონაწილეობა. სოციალისტური შრომის გმირმა ბრიგადირმა გრ. მოქიამ აღნიშნა, რომ პირველი ბრიგადის პირველ რგოლში არ ეწყობა დავალების შესრულების შემოწმება, ყველა კოლმეურნეს არა აქვს ჩაის საკრეფი კალათები და გოდრები.

ელ. სიორიძემ გააკრიტიკა კოლმეურნეობის გამგეობა და პარტბიურო იმის გამო, რომ ისინი ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ერთწლიანი კულტურების მოვლა-დამუშავებისა და მეცხოველეობისათვის საკვები ბაზის შექმნის საქმეს.

მომხსენებლისა და სხვა კომუნისტთა გამოსვლებით გამოირკვა აგრეთვე, რომ კოლმეურნეობის პირველ და მეორე ბრიგადაში ცუდად უვლიან ჩაის ზოგიერთ ნაკვეთს, მეციტრუსეებმა უხარისხოდ გასხლეს ციტრუსოვანთა ნარგავები, მოუწესრიგებელი იყო კოლმეურნეთათვის მოსავლელად მიჩენილ ჩაის ნაკვეთებზე ფოთლის კრეფის აღრიცხვა და სხვ.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ მივიღეთ დადგენილება, რომელშიც აისახა მომხსენებლის მიერ გაკეთებული დასკვნები და სიტყვით გამოსული ამხანაგების საყურადღებო შენიშვნები. დადგენილებაში გათვალისწინებული იყო პრაქტიკული საკითხები, რომელთა განხორციელება აუცილებელი იყო. ჩავწერეთ შესრულების ვადები და ვუჩვენეთ შესრულებისათვის პასუხისმგებელი ამხანაგები.

პარტიული კრების დადგენილება უაღრესად მნიშვნელოვანი პოლიტიკური დოკუმენტია. ვითვალისწინებთ რა ამას, უცვლელად როდი ვიღებთ წარმოდგენილ დადგენილების პროექტს. კრებაზე კომუნისტების მიერ გამოთქმული შენიშვნების მიხედვით მას ხშირად ბევრი რამე ან ემატება, ან აკლდება, ამის შემდეგ იღებს იგი საბოლოო სახეს.

დიდ ყურადღებას ვუთმობთ მიღებულ დადგენილებათა შესრულების შემოწმებას. ამასთან მნიშვნელობა აქვს იმას, შესრულების ვადა მოკლეა თუ ხანგრძლივი. პირველ შემთხვევაში შემდგომ კრებას ორგანიზაციის მდივანი მოახსენებს, თუ როგორ შესრულდა პარტიული კრების გადაწყვეტილება, ხოლო მეორე შემთხვევაში — მდივანი მორიგ კრებაზე გამოდის ანგარიშით იმის შესახებ, თუ რა კეთდება გადაწყვეტილების პრაქტიკულად განხორციელებისათვის.

პარტიულ კრებაზე ვიხილავთ კომკავშირის ორგანიზაციის მუშაობის, კომუნისტთა ავანგარდული როლის, პარტიული განათლების, სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის და სხვა საკვანძო საკითხებს, რომლებიც გამომდინარეობენ ჩვენი კვარტალური და თვიური გეგმებიდან. მაგალითად, ამ რამდენიმე ხნის წინათ პარტიულმა ორგანიზაციამ შეამოწმა კოლმეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების განხორციელების მდგომარეობა. გამოირკვა, რომ პირველ და მეორე ბრიგადებში შრომადღეებს უწერდნენ უხარისხოდ შესრულებული სამუშაოებისათვის, კოლმეურნეობაში შტატი გაბერილი იყო, შრომის წიგნაკებში დროულად არ შეჰქონდათ კოლმეურნეთა მიერ გამომუშავებული შრომადღეები. ამ საკითხებზე იმსჯელა პარტიულმა კრებამ და მიიღო სათანადო გადაწყვეტილება, რომლის შესრულების შედეგად კოლმეურნეობაში გამოსწორდა აღნიშნული ნაკლოვანებანი.

პარტიული კრება ხშირად მსჯელობს კომუნისტების ავანგარდული როლის შესახებ კოლმეურნეობაში. ჩვენი ორგანიზაციის 58 კომუნისტიდან 49 კაცი ფიზიკურად მუშაობს. კომუნისტები პირადი მაგალითით რაზმავენ კოლმეურნეებს ჩვენს წინაშე მდგომი ამოცანების შესასრულებლად. საკოლმეურნეო შრომაში სახელმოხვეჭილმა გრ. მოქიამ სოციალისტური შრომის გმირის წოდება მოიპოვა. 21 კომუნისტს სსრ კავშირის ორდენები და მედლები აქვს მიღებული. ყოველივე ამან კოლმეურნეთა შორის გაზარდა პარტიული ორგანიზაციის ავტორიტეტი.

როგორც მოწინავე პარტიული ორგანიზაციების გამოცდილება გვიჩვენებს, საწარმოო საკითხების განხილვასთან ერთად სასარგებლოა პარტიულ კრებაზე თეორიული საკითხების გაშუქებაც. ამ მიზნით გადავწყვიტეთ პარტიულ კრებაზე განვიხილოთ საკითხი „ლენინი და სტალინი სოციალისტური შეჯიბრების შესახებ". ჩვენ შეგნებული გვაქვს ამ საკითხის სერიოზულობა და აქედანვე ამოცანად ვისახავთ ის პარტიული კრება, რომელზეც ამ საკითხს განვიხილავთ, არ გადავაქციოთ ჩვეულებრივ ლექციად. კრების მომზადებაში ჩავაბით თითქმის ყველა კომუნისტი, გვაქვს სათანადო ლიტერატურა, რომლითაც სარგებლობენ მსურველები, ვსწავლობთ სოციალისტური შეჯიბრების ფაქტიურ მასალებს და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის ყველა კომუნისტი, და მათ შორის ზოგიერთი უპარტიო ამხანაგიც დიდი ინტერესით ემზადება ამ კრებისათვის. კრების მომზადებაში დახმარებას გვიწევს პარტიის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება. ვფიქრობთ, ეს კრება დიდ სარგებლობას მოიტანს.

მიმდინარე წელს ჩაის მაღალი მოსავლის ბედი ახლა წყდება. პარტიულმა კრებამ სხვა და სხვა დროს სერიოზულად იმსჯელა ჩაის საშემოდგომო, საზამთრო და საგაზაფხულო სამუშაოთა ვადებზე, ამ სამუშაოთა მაღალხარისხოვნად შესრულებისა და ციტრუსოვანთა გამოზამთრების საკითხებზე სათანადო ღონისძიებანი დავსახეთ და წარმატებითაც ვახორციელებთ.

ჩვენი პარტიული კრების დღის წესრიგში განსახილველად ისმება 2-3 საკითხი. თითო საკითხზე მოხსენება არ აღემატება 20-25 წუთს, ხოლო სიტყვებით გამოსულ ამხანაგებს თავიანთი მოსაზრების გამოთქმისა და პრაქტიკული წინადადებებისათვის სჭირდებათ 5-10 წუთი. ამის გამო პარტიული კრების ხანგრძლივობა ჩვენთან 2 საათს არ აღემატება. ასეთ პარტიულ კრებას თვეში ერთხელ ან ორჯერ ვიწვევთ. გარდა პარტიული კრებისა, თვეში ორჯერ მაინც ვიწვევთ პარტბიუროს სხდომას, რომელზეც აგრეთვე ვიხილავთ პარტიული და სამეურნეო მუშაობის აქტუალურ საკითხებს.

ქ. ტუღუში

მახარაძის რაიონის სოფელ კონჭკათის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის პირველადი პარტორგანიზაციის ბიუროს მდივანი

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმში

ᲛᲐᲡᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲢᲣᲠᲘᲖᲛᲘᲡ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

მასობრივი ტურიზმის ფართოდ განვითარების, ტურისტულ ლაშქრობებსა და მოგზაურობებში მშრომელთა მასობრივი ჩაბმის მიზნით, საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა რესპუბლიკურ, საფაბრიკო-საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტებს, აგრეთვე ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოებების საბჭოებს დაავალა: განახორციელონ სათანადო ღონისძიებანი ტურიზმის ფართოდ განვითარებისა და მუშა-მოსამსახურეთა, აგრეთვე მოსწავლეთა ჩაბმისათვის ადგილობრივი მარშრუტების ტურისტულ ლაშქრობებსა და შორეულ მოგზაურობებში; წელს საწარმოებში, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში არსებულ ფიზკულტურის თვითეულ კოლექტივთან შექმნან ტურიზმის სექციები და ამ სექციებში მოიზიდონ ფართო აქტივი; სისტემატური მუშაობა აწარმოონ ტურისტული ლაშქრობებისა და მოგზაურობის მოსაწყობად, „სსრ კავშირის ტურისტის" ნიშნოსნების მოსამზადებლად.

საკავშირთაშორისო ტურისტულ ღონისძიებათა ჩატარების, მასობრივი ტურისტული მუშაობის გამოცდილების გავრცელების, ტურიზმის საკითხებზე კონსულტაციების მოწყობისა და საზოგადოებრივი ინსტრუქტორების მოსამზადებლად საკავშირთაშორისო სემინარებისა და კურსების მოწყობის მიზნით პრეზიდიუმმა დაამტკიცა ტურიზმის სექცია.

პროფსაბჭოს კულტურულ-საყოფაცხოვრებო განყოფილებამ ტურიზმის სექციასთან ერთად უნდა დაამუშაოს ტურიზმის განვითარებასთან დაკავშირებული ღონისძიებანი და დასამტკიცებლად წარუდგინოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმს.

პროფკავშირთა რესპუბლიკურ კომიტეტებს და ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოებების რაიონულ საბჭოებს დაევალა ტურისტული მუშაობისათვის 1951 წელს გათვალისწინონ წინა წელთან შედარებით გაცილებით მეტი ასიგნობანი.

საკავშირო პროფსაბჭოს ეთხოვა რესპუბლიკურ პროფსაბჭოსთან მოაწყოს საკავშირთაშორისო ტურისტული კლუბი, როგორც მასობრივი ტურიზმის პროპაგანდისა და განვითარების ცენტრი.

ᲓᲐᲗᲔᲡᲘᲚᲘᲐ 600 ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲖᲔ ᲛᲔᲢᲘ ᲡᲘᲛᲘᲜᲓᲘ

ხაშური. (საქ. კორ.). კოლმეურნეობებმა მასობრივად დაიწყეს სიმინდის თესვა. სოფელ ვაყის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში უკვე დათესეს 30 ჰექტარი სიმინდი. სიმინდის თესვა გააჩაღეს სოფელ ალის სტალინის, სოფელ კეზერის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობებში.

2 აპრილისათვის რაიონში დათესილია 600 ჰექტარზე მეტი სიმინდი.

ᲛᲘᲡᲐᲚᲛᲔᲑᲐᲗᲐ ᲜᲐᲙᲐᲓᲘ

ამხანაგ ი. ბ. სტალინის დაბადების სამოცდაათი წლისთავთან დაკავშირებით მისალმებანი გამოგზავნეს და ამხანაგ სტალინს გულითადად უსურვეს ჯანმრთელობა და მრავალ წელს სიცოცხლე:

ბრესტის ოლქის კობრინის რაიონის ძერჟინსკის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ბრესტის ოლქის კობრინის რაიონის კოლმეურნეობა „ზავეტი ილიჩას" წევრებმა;

ალტაის მხარის მთიანი ალტაის ავტონომიური ოლქის ჩოის აიმაკის კოლმეურნეობა „ჩაგანის" წევრებმა;

კრასნოდარის მხარის ლაზარევსკის რაიონის უჩ-დერეს სანატორიუმის მუშაკებმა;

ქ. ბაქოს ოქტომბრის რაიონის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების სამედიცინო მუშაკებმა;

აჭარის ავტონომიური ოლქის შოვგენის რაიონის ხაკურინოხაბლის აულის მუშებმა, კოლმეურნეებმა და ინტელიგენციამ;

გროზნოს ოლქის ყარანოღაის რაიონის კოლმეურნეობა „მალ-უსტრიუს" წევრებმა;

ტამბოვის ოლქის რასკაზოვის რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელ „მოლოდოი ბოლშევიკის" წევრებმა;

ტამბოვის ოლქის ინჟავის რაიონის პარტიული, კომკავშირული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების რაიონულმა კრებამ;

პენზის ოლქის ბედნო-დემიანოვსკის რაიონის კოლმეურნეობა „ბოლშევიკის" წევრებმა;

კურსკის ოლქის ვოლოკონის რაიონის ბორისოვის შვიდწლიანი სკოლის მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა;

კურსკის ოლქის სტარი ოსკოლის რაიონის სამომხმარებლო კოოპერაციის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

კურსკის ოლქის სტრელეცკის რაიონის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

კურსკის ოლქის გლუშკოვის რაიონის ვატუტინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრებმა;

სტალინგრადის ოლქის სოლოდჩის რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელ „პლამია სოციალიზმას" წევრებმა;

როსტოვის ოლქის ცელინის რაიონის მშრომელებმა;

პენზის ოლქის შემიშეის რაიონის კოლმეურნეობა „ნოვი პუტის" წევრებმა;

როსტოვის ოლქის ტარასოვის რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელ „კრასნი პუტილოვეცის" წევრებმა;

ქ. დონის როსტოვის რკინიგზის რაიონის ქალთა № 58 საშუალო სკოლის და მუშა ახალგაზრდობის № 4 საშუალო სკოლის მასწავლებლებმა და ტექნიკურმა პერსონალმა;

პენზის ოლქის ბოლშოი ვიასის რაიონის სოფელ ბოლშოი ვიასის მშრომელებმა;

პენზის ოლქის კუზნეცის რაიონის კოლმეურნეობა „ვპერიოდის" წევრებმა,

ქ. დონის როსტოვის № 12 პოლიკლინიკის სამედიცინო მუშაკებმა;

მინსკის ოლქის ბორისოვის რაიონის კოლმეურნეობა „კრასნაია სტუდენკას" წევრებმა;

მინსკის ოლქის ბორისოვის რაიონის კოლმეურნეობა „მეორე ხუთწლედის" წევრთა კრებამ;

პენზის ოლქის ტამალის რაიონის კოლმეურნეობა „კრასნოე ზნამიას" წევრებმა;

კურსკის ოლქის ვალუის რაიონის კოლმეურნეობა „ისკრას" წევრებმა;

როსტოვის ოლქის ორლოვსკის რაიონის პარტიული, კომკავშირული, საბჭოთა ორგანიზაციების, კოლმეურნეობებისა და საწარმოების წარმომადგენელთა კრებამ;

პენზის ოლქის კამენკის რაიონის კოლმეურნეობა „ნოვაია უკრაინკას" წევრებმა;

კალუგის ოლქის სპას-დემენსკის რაიონის კოლმეურნეობა „ლენინსკი პუტის" წევრებმა;

ბრესტის ოლქის ჟაბინკის რაიონის კოლმეურნეობა „ზვეზდის" წევრებმა;

ნოვოჩერკასკის საელევატორო ტექნიკუმის სტუდენტთა და მასწავლებელთა კრებამ;

ვოროშილოვგრადის ოლქის ქ. ლისიჩანსკის მშრომელებმა;

კიროვის ოლქის სანჩურის რაიონის პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, საწარმოო კოლექტივებისა და სასოფლო-სამეურნეო არტელების წარმომადგენელთა საზეიმო სხდომის მონაწილეებმა;

ბრესტის ოლქის [illegible] რაიონის კოლმეურნეობა „[illegible]" წევრებმა;

როსტოვის ოლქის კაშარის რაიონის კოლმეურნეობა „კრასნაია გვარდიას" წევრებმა;

როსტოვის ოლქის სტეპნოის რაიონის სლედკოვის მტს-ის მუშებმა, ტრაქტორისტებმა, მექანიკოსებმა და მოსამსახურეებმა;

როსტოვის ოლქის სტეპნოის რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელ „კრასნი მაიაკის" წევრებმა;

გროზნოს ოლქის მალგობეკის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა;

ლენინგრადის შრომითი რეზერვების საქალაქო სამმართველოს სასტროლეცის საფაბრიკო-საქარხნო სწავლების № 79 სკოლის მოსწავლეებმა და თანამშრომელთა კოლექტივმა;

არზამასის ჩკალოვის სახელობის ქალთა საშუალო სკოლის მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა;

გორკის ოლქის ქ. არზამასის ვოროშილოვის სახელობის საშუალო სკოლის მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა;

არზამასის სატყეო ტექნიკუმის მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა;

როსტოვის ტრესტ „როსგლავპტიცეპრომის" მუშაკთა კოლექტივმა;

ქვანახშირის ახალგაზრდა ქალაქ ანჟეროს მშრომელებმა;

როსტოვის ოლქის ვოლოშინოს რაიონის სოფელ ვოლოშინოს კოლმეურნეებმა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებმა, მუშებმა, მოსამსახურეებმა და ინტელიგენციამ;

სტალინგრადის ოლქის დანილოვკის რაიონის სახალხო სასამართლოს და პროკურატურის მუშაკთა კრებამ;

როსტოვის ოლქის აქსაის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

მოლდავეთის სსრ ოლონეშტის რაიონის პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენელთა, კოლმეურნეთა, მუშათა, ინტელიგენციისა და მოსამსახურეთა კრებამ;

მოლდავეთის სსრ კიპერჩის რაიონის კოლმეურნეთა, მუშა-მოსამსახურეთა და ინტელიგენციის კრებამ;

ყირიმის ოლქის რაზდოლიეს რაიონის კოლმეურნეთა, მტს-ის, საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა და ინტელიგენციის კრებამ;

როსტოვის ოლქის ზაპადნი რაიონის ჩკალოვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო არტელის წევრებმა;

სტალინგრადის ოლქის სერაფიმოვიჩის რაიონის სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა კრებამ;

სტალინგრადის ოლქის რაკოვსკის რაიონის სასოფლო-სამეურნეო არტელ „კრასნი ბუტილოვეცის" წევრებმა;

ასტრახანის ოლქის კასპიის რაიონის მშრომელებმა;

ნოვოსიბირსკის ოლქის ანდრეევის რაიონის სოფელ ბაგანის მშრომელთა საზეიმო კრების მონაწილეებმა;

გროზნოს ოლქის ნოვოსელსკის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

ბობრუისკის ოლქის კოპილის რაიონის კოლმეურნეობა „ნოვი სვეტის" წევრებმა;

ბრესტის ოლქის კობრინის რაიონის კოლმეურნეობა „კრასნაია ზორკას" წევრებმა;

ჩკალოვის ოლქის საკმარის რაიონის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საწარმოების წარმომადგენელთა საზეიმო სხდომამ.

პოლტავის ოლქის გადიაჩის რაიონის კოლმეურნეობა „კრასნაია ზორკას" წევრებმა;

როსტოვის ოლქის აზოვის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის სკოლამ;

კურსკის ოლქის გლუშკოვის რაიონის კოლმეურნეობა „ბოევიკის" წევრებმა;

ულიანოვსკის ოლქის ჩერდაკლის რაიონის სოფელ კრასნი იარის კოლმეურნეებმა, მუშებმა და მოსამსახურეებმა;

კალუგის ოლქის დეტჩინის რაიონის ჩკალოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

კურსკის ოლქის პონირის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებმა;

(ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ)

ᲛᲔᲪᲮᲕᲐᲠᲔᲔᲑᲗᲐᲜ

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲙᲐᲡᲞᲘᲘᲡᲞᲘᲠᲔᲗᲘᲓᲐᲜ

I

შეხედეთ რუკას. საქართველოდან შორს, კასპიის ზღვის დასავლეთით თქვენ ნახავთ მწვანე ფერით აღნიშნულ ნოღაის ველს. მრავალ ასეულ კილომეტრზე გადაჭიმულ ამ ველზე ყოველწლიურად იზამთრებს ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეთა ცხვარი. აქ არიან მწყემსები დუშეთიდან, თიანეთიდან, ყაზბეგიდან, ახმეტიდან, სამხრეთ ოსეთიდან.

ნოღაის ველის სიდიდეზე წარმოდგენა რომ ვიქონიოთ, საკმარისია ითქვას, რომ მარტო ჩვენს რესპუბლიკას საძოვრებისათვის გადმოცემული აქვს ხუთასი ათასი ჰექტარი. დიდი საძოვრები უჭირავთ აგრეთვე დაღისტნის ასსრ, სტავროპოლის, ასტრახანისა და გროზნოს ოლქის კოლმეურნეობებს.

ქართველი კაცისათვის კასპიისპირეთში უჩვეულო ბუნებაა. ჩვენებური მთების, გორაკებისა და მინდვრების ნაცვლად აქ ადამიანი მხოლოდ გაუთავებელ ველს ხედავს, ზოგან ზღვის ტალღებივით ოდნავ შემაღლებულს. აქ ვერ იპოვნით ვერც ერთ ხეს, ვერც ერთ ბუჩქს, გაგაკვირვებთ მიწაზე თეთრი ლაქები. ეს დამშრალი წყლისაგან დარჩენილი მარილია. მარილით გაჟღენთილია ბალახიც. იგი საუკეთესო საკვებია პირუტყვისათვის. ამიტომ იყო, რომ ქართველმა მწყემსებმა ძველთაგანვე გაიკვლიეს გზა ცხვრის ამ გაშლილი სუფრისაკენ.

ნოღაის ველის სამხრეთ სანაპიროს ჩამოუდის კავკასიონის მთებში დაბადებული თერგი, მაგრამ ის როდი გავს ჩვენთვის ნაცნობ მჩქეფარე თერგს. იგი აქ აღარც რბის და აღარც ღრიალებს: ნელა მიედინება ზღვისაკენ.

თერგის ნაპირას გაშენებულია ქალაქი ყიზლარი, სადაც დაიბადა ჩვენი სახელოვანი თანამემამულე, მამაცი მხედართმთავარი პეტრე ბაგრატიონი.

კასპიისპირეთის ამ მხარის მნიშვნელოვანი ნაწილი ნახევრადუდაბნოს ჰგავს. ზღვიდან წამოსულ ქარს ყოველწლიურად დიდძალი ქვიშა მოაქვს. ყვითელი ქვიშა თანდათანობით მიიწევს წინ, ფარავს ბალახს, აჩენს გორაკებს. სადაც ახლა მხოლოდ ქვიშა და ბალახია, იქ ერთ დროს თურმე ბუნება ჰყვაოდა, ხარობდა ვაზი, ხეხილი, ბოსტნეული. სოფელ ჩორნი რინოკის მიდამოებში, რომელიც ოდესღაც კუნძული ყოფილა, ახლაც იპოვით ვენახებისა და ბაღების ნაშთებს.

დროთა განმავლობაში ზღვას უკან დაუხევია, დამშრალა წყალი — მოსავლისა და სიცოცხლის დედა. წყურვილისაგან დაღუპულან მცენარეები და ცხოველები, მშობლიური კუთხიდან აყრილან ადამიანები...

საბჭოთა ადამიანის მარჯვენა აქაც ებრძვის ბუნებას. უკანასკნელ წლებში ნოღაის ველზე ამოყვანილია მრავალი არტეზიული ჭა. ამ წყლით სარგებლობენ მწყემსები. ამ წყლით ჩნდება პატარა გუბურები, სადაც ათასობით გარეული იხვი და ბატი ბუდობს. ამ წყლით იკლავს წყურვილს ცხვარი, გარეული თხა და ღორი, რომლითაც მდიდარია ეს მხარე.

მაგრამ ნოღაის ველის ბუნების გარდაქმნისათვის ეს არ კმარა. როცა დამთავრდება მსოფლიოში ყველაზე მძლავრი ჰიდროელექტროსადგურების — კუიბიშევისა და სტალინგრადის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა, დაიწყება ამ ველის მორწყვაც.

მოკლე ხანში კვლავ აღდგება სიცოცხლე, წყლით გაძღება აქაური მიწა, გადაყვითლებულ ქვიშნარზე გაშენდება ვენახი, ბაღი, ბოსტანი. უფრო ნოყიერი გახდება ნოღაის გაშლილი საძოვრები.

II

ვის არ გაუგონია ხალხური ლექსი:

ვხედავ მეცხვარეს ჯოხით მხარზედა,
წინ უძღვის ცხვარსა, მიდის მთაზედა,
ხალამურს უკრავს ზარის ხმაზედა...

ეს მწყემსური ცხოვრების იდილიური სურათია. სინამდვილეში კი მწყემსის ცხოვრება ბევრ სიძნელესთან არის დაკავშირებული.

საბჭოთა ადამიანის თავდადებული შრომა ყოველივე ძვირფასის, მშვენიერისა და დიადის შემოქმედია. მეცხვარის შრომა რთული, ძნელი და ამავე დროს საამაყოა.

წარმოიდგინეთ ახლადდაბადებული ბატკანი, იმდენად უსუსური, რომ დაქნავლებაც არ შეუძლია, ჯერ კიდევ სველი წევს მიწაზე. საკმარისია ერთ დღეს დარჩეს მშიერი, რომ სიცოცხლეს გამოესალმოს. მაგრამ ეს არ მოხდება, რადგან მისთვის მშობლიურად ზრუნავს მწყემსი. იგი „გინეკოლოგიცაა" და გამოცდილი „ძიძაც": სუფთა ნაჭრით გაამშრალებს ბატკანს, ფრთხილად გაუხსნის პირს, დედას მიუყვანს და ძუძუს მოაწოვებს...

ამის შემდეგაც არ რჩება ბატკანი ბედის ანაბარა. ერთგული „ძიძა" მას სუფთა, ნათელ და მშრალ ბინაში ათავსებს, რადგან იცის: უსუფთაობა, დახშული ჰაერი, სიბნელე აუცილებლად ავნებს ბატკანს.

სპეციალურად მომზადებულ ფარეხში დედაცხვრებმა დღეში ორჯერ უნდა მოაწოვონ ბატკნებს, ამისათვის ისინი საძოვრიდან მოჰყავთ. წარმოიდგინეთ ათასიანი ფარა. დედები ბღავილით ეძებენ შვილებს, ბატკნები ჩვილი ბავშვივით ყვირიან, ბევრი დედა დამოუკიდებლად ვერ იპოვნის პირმშოს. სწორედ აქ არის საჭირო მცნობარი მწყემსი. იგი აიყვანს ბატკანს და თვალის ერთი გადავლებით უპოვის დედას. ჭეშმარიტად, დიდი გამოცდილება, ალღო და უნარია საჭირო, მცნობარი რომ გახდე. ცხვარი თითქმის ერთნაირი ფერისაა და აბა სცადეთ ათას ცხვარში გამოიცნოთ რომელი ბატკანი რომლის შვილია.

ასე ხდება ყოველდღიურად, სანამ ბატკანი არ მოღონიერდება და დედისაგან დამოუკიდებელ ცხოვრებას არ შეეჩვევა.

არის ბევრი შემთხვევა, რომ ბატკანი ბაკში კი არა, მინდორში დაიბადება. თუ ცივა, მწყემსი მას უბეში ჩაისვამს, საკუთარი სხეულით გაათბობს. ერთი სიტყვით, ბატკნის სიცოცხლე ადამიანის ხელშია.

ერთ დედაცხვარს შეუძლია მარტო ხუთ წელიწადში თექვსმეტი შთამომავალი — შვილები, შვილიშვილები მოგვცეს, მატყლზე და ერბო-ყველზე რომ არაფერი ვთქვათ.

მეცხვარე უაღრესად მზრუნველი, ფიზიკურად ძლიერი და თავისი საქმის მოყვარულია, უამისოდ იგი ვერ შეძლებს იმ დაძაბულობის გადატანას, რაც მის შრომასთან არის დაკავშირებული.

მწყემსი წელიწადში ათ-თერთმეტ თვეს მინდვრადაა, ვაჟკაცურად უძლებს თოვლსა და წვიმას, მცხუნვარე მზესა და სუსხიან ქარს, ფხიზლად დარაჯობს საკუთარი შრომით აღზრდილ ცხვარს და ამით თავისი წვლილი შეაქვს საბჭოთა სამშობლოს ძლიერების განმტკიცების კეთილშობილურ საქმეში.

III

გაზაფხულის შესანიშნავი დღეები დგას ნოღაის ველზე.

კასპიის ზღვიდან უბერავს თბილი ნიავი, ღრუბლების ნაფლეთებიდან მორცხვად იყურება მზე, განუწყვეტლივ ისმის გარეული ფრინველების ჟივილ-ხივილი, ნელი შრიალით მიჰყვება მინდორს ცხვრის ფარები, კიკინებენ ვაცები, ბღავიან მსუქანი ყოჩები, მზის სხივებს ეთამაშებიან ბამბასავით თეთრი ბატკნები.

აქ უკვე მასობრივად არის გაჩაღებული „მოსავლის აღება", როგორც ამბობენ მეცხვარეები: ყოველდღიურად იბადება ათასობით ჯანსაღი ბატკანი, იზრდება საკოლმეურნეო დოვლათი.

სამოცი წელიწადია ცხვარში დავდივარ, — ამბობს თეთრულვაშება ჭართლელი მწყემსი ივანე ციხელაშვილი, — მაგრამ ასეთ კარგ დოლს არასოდეს შევსწრებივარ...

დოლი მართლაც არაჩვეულებრივად ბარაქიანია. მარტო დუშეთის რაიონის კოლმეურნეობები ასი ათას ბატკანს ელოდებიან, უკვე მიღებული და შენარჩუნებულია სამოცდაათი ათას სულზე მეტი.

წარმატებით მიმდინარეობს დოლი თიანეთის, ყაზბეგის, ლენინგორის, ახმეტის რაიონების მოწინავე კოლმეურნეობებში. ეს არ აიხსნება მარტო კარგი ამინდით. გასულ წელს კოლმეურნეობები საუკეთესოდ მოემზადნენ პირუტყვის გამოზამთრებისათვის, მოიმარაგეს საკმარისი თივა და შვრია, შეაკეთეს ბინები, კარგად გამოაზამთრეს ცხვარი, — აი, რით აიხსნება ძირითადად წლევანდელი დოლის წარმატება.

აქ მყოფი მეცხოველეები დიდი ინტერესით გაეცნენ ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირის მონაწილეთა მიმართვას საქართველოს კოლმეურნე გლეხობის, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშებისა და სპეციალისტებისადმი.

მიმართვის პასუხად ახალი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. მეცხვარეები ახლა იმისათვის იბრძვიან, რომ საუკეთესოდ დაამთავრონ დოლი, კარგად მოაწყონ ცხვრის დაბრუნება საზაფხულო საძოვრებზე.

ნაკისრ ვალდებულებას ფერმების გამგეები, ბრიგადირები, მწყემსები, მეცხოველეობის სპეციალისტები პირნათლად ასრულებენ. მეცხვარე რასაც იტყვის, კიდეც გააკეთებს.

ჩვენ ვესტუმრეთ დუშეთის რაიონის მაქართის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მწყემსებს. მოზვრის ტოლა მეცხვარულმა ძაღლებმა გზა გადაგვიღობეს. ახალგაზრდა მთიელმა სანდრო წიკლაურმა ძაღლებს დასჭყივლა და სახლში შეგვიძღვა.

სასიამოვნოა მაქართელთა ბინაში შესვლა. თვალუწვდენელ მინდორში, სადაც ადამიანის ჭაჭანება არ არის, ამაყად დგას თეთრად შელესილი სახლი. აქ მწყემსებს შეუძლიათ დაისვენონ, წაიკითხონ ჟურნალ-გაზეთები. სახლის ახლოსაა მშვენივრად მოწყობილი აბანო, სამზარეულო, საკუჭნაო, ცხვრის ფარეხები, ბაკები.

მაქართელებს ოცდაერთ ათას სულზე მეტი ცხვარი ჰყავთ. დასადოლებელია თორმეტი ათასი სული; უკვე მიღებულია შვიდი ათას ოთხასი ბატკანი. 200 ცხვარმა ტყუპი მოიგო. მაქართელებს არც ერთი ბატკანი არ მოჰკვდომიათ. ეს წარმატება იმის შედეგია, რომ კოლმეურნეობამ შარშანვე საკმარისი რაოდენობით მოიმარაგა თივა და შვრია, მოვლა-პატრონობა არ მოაკლო ცხვარს ზამთარში.

მაქართელებს ჰყავთ ცხვრის მოვლა-გამოზრდის შესანიშნავი ოსტატები. ესენი არიან სანდრო, ივანე, ნიკიფორე, კოფია, მიხეილ და ზინიკო წიკლაურები.

უდანაკარგოდ გამოაზამთრეს ცხვარი ჭართლელმა კოლმეურნეებმაც. დოლის საუკეთესოდ ჩატარებაში ერთმანეთს ეჯიბრებიან მამა-შვილი — ივანე და გრიშა ციხელაშვილები. მათთან არის ივანეს ძმისწული კოფიაც. ჭართლელებს დასადოლებელი ჰყავდათ ექვსი ათას ექვსასორმოცდაოთხი ცხვარი, უკვე მიღებულია ოთხი ათასზე მეტი ბატკანი.

გუდამაყრის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობა ყველაზე მსხვილი კოლმეურნეობაა დუშეთის რაიონში. მას ორმოც ათასზე მეტი ცხვარი ჰყავს. კოლმეურნეობის თავმჯდომარიდან დაწყებული რიგით მწყემსამდე, ყველანი ერთი სურვილით არიან გამსჭვალულნი — მთლიანად შეინარჩუნონ ნამატი, მეტი სიმდიდრე შესძინონ ქვეყანას.

შესანიშნავი მაჩვენებლები აქვთ მთიულეთის ჩარკვიანის, ახალციხის სტალინის, მლეთის ბერიას, ბაზალეთის ბერიას, ფუძნარის ბერიას, უძილაურების ბერიას, გუდამაყრის ჩხუბიანიშვილის, ჩარგლის ვაჟა-ფშაველას სახელობის და სხვა კოლმეურნეობებს.

ნამატის მიღებისა და შენარჩუნების მაღალი მაჩვენებლები აქვთ თიანეთის, ყაზბეგის, ლენინგორის, სტალინირის და ახმეტის რაიონების კოლმეურნეობათა მოწინავე ფერმებს.

მთელ დუშეთის რაიონში განთქმული არიან საკოლმეურნეო შრომის დაუღალავი ენთუზიასტები, მეცხვარეები: ძმები ბურთა და ნინია აფციაურები, ალექსი ბექაური, პავლე წიკლაური, ბერი წიკლაური, ხევშლები — ნიკოლოზ კობაიძე, ნიკოლოზ და შაქრო პატაშურები, ვლადიმერ ქავთარაძე, სანდრო ამირიძე, მლეთელები — ნიკოლოზ ოგბაიძე, პავლე სუარიძე, ივანე და გრიგოლ ჩოხელები, სიმონ და თედო ბუჩუკურები, პავლე წამალაიძე, გიორგი ზაქაიძე, გომეწრელი პავლე ღოღუბელაშვილი, ხევსურეთელი მოხუცი მცნობარი ხვთისო ღრუბელაშვილი. ეს ადამიანები შრომისადმი ნამდვილად სოციალისტურ დამოკიდებულებას იჩენენ, მათი შემოქმედებითი შრომა ლირსია ჯეროვნად შეაქონ ჩვენმა მწერლებმა და პოეტებმა.

შესაქებია მთიელი ქალების შრომაც. შარშან მლეთის ბერიას სახელობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა მშენებლობა

საქალაქო საბჭო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი

ქუთაისში ყოველწლიურად იზრდება კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი. ქალაქში ახლა მუშაობს 14 საქალაქო, 4 საბავშვო და სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა, კულტურის სახლი, კულტურისა და დასვენების პარკი; ქალაქის 45 საწარმოსა და დაწესებულებასთან არსებობს კლუბები და ბიბლიოთეკები, რომლებშიც 3,5 მილიონი ცალი წიგნი და ჟურნალია.

საქალაქო საბჭოს აღმასკომი სერიოზულ დახმარებას უწევს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს. აღმასკომის სხდომებზე სისტემატურად იხილავენ მათი მუშაობის საკითხებს. საქალაქო საბჭოს ხელმძღვანელი მუშაკები პირადად ამოწმებენ კლუბების, ბიბლიოთეკების მუშაობას და დახმარებას უწევენ მათ.

განსაკუთრებით საყურადღებოა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის საქმეში საქალაქო საბჭოს დეპუტატების მონაწილეობა. დეპუტატების სამუშაო გეგმაში ყოველთვის თვალსაჩინო ადგილი უჭირავს იმ კლუბებისა და ბიბლიოთეკების მუშაობას, რომლებიც მათი საარჩევნო უბნის ტერიტორიაზეა მოთავსებული.

დეპუტატმა ზურაბ გვასალიამ, რომელიც სტახანოველი მუშაა, თავისი საზოგადოებრივი საქმიანობის ერთ-ერთ საყურადღებო საკითხად გაიხადა მეათე საქალაქო ბიბლიოთეკისადმი დახმარება. იგი სისტემატურად დადის ბიბლიოთეკაში, იცის, თუ რა ესაჭიროება ბიბლიოთეკას. დეპუტატმა პირადად გაუკეთა ბიბლიოთეკას ახალი შესავალი და საკეტი.

იგივე ითქმის დეპუტატ ივანე ფურცხვანიძის შესახებ. მეექვსე საქალაქო ბიბლიოთეკა, რომელიც მისი საარჩევნო უბნის ტერიტორიაზეა, ბინის დიდ სივიწროვეს განიცდიდა. წიგნები თაროებზე ორ-ორ წყებად იყო მოთავსებული. დეპუტატმა ბიბლიოთეკის გაფართოების საკითხი დააყენა საქალაქო საბჭოს წინაშე და უზრუნველყო გამოყოფილი თანხის დროულად გამოყენება დანიშნულებისამებრ. მისი მონაწილეობით სწრაფად იქნა ადგილზე მიზიდული საშენი მასალები და მოკლე ხანში ბიბლიოთეკას ერთი ოთახი მიემატა.

ნაყოფიერ მუშაობას ეწევა აგრეთვე დეპუტატი თ. შათირიშვილი, რომელმაც აქტივთან ერთად საუკეთესოდ მოაწყო მე-8 საქალაქო ბიბლიოთეკა, გააფორმა ლოზუნგებით, პლაკატებით, დიაგრამებითა და პორტრეტებით.

დეპუტატებთან ერთად კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობაში სისტემატურად მონაწილეობენ აქტივისტები. ისინი როგორც დეპუტატების, ისე უშუალო საქალაქო საბჭოს წინაშე სისტემატურად აყენებენ საკითხებს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ, რაზმავენ უბნის მცხოვრებლებს ამ ღონისძიებათა განსახორციელებლად. მაგალითად, დიასახლის გოგუცა მილორავას თაოსნობით წერეთლის ქუჩაზე მდებარე ბიბლიოთეკას მუშახელით დაეხმარნენ მიმდინარე რემონტის ჩატარებაში. მსგავსი მაგალითები მრავალია.

საქალაქო საბჭოს აღმასკომის სხდომებზე ხშირად ისმენენ დეპუტატების ანგარიშს და ყურადღებით ეკიდებიან მათს წინადადებებს კლუბებისა და ბიბლიოთეკების მუშაობის შესახებ. აქ პრაქტიკაში შემოიღეს ბიბლიოთეკებისადმი ცალკეულ საწარმო-დაწესებულებათა შეფობა, რამაც კარგი შედეგი გამოიღო.

საქალაქო საბჭოს დეპუტატების და აქტივისტების დახმარებით ქალაქის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი წარმატებით უძღვებიან საქმეს. ისინი ფართო მუშაობას ეწევიან მასებში მეცნიერული და პოლიტიკური ცოდნის, წიგნისა და პერიოდულ გამოცემათა პროპაგანდისათვის. ამ მიზნით ხშირად ეწყობა ლექციები, მოხსენებები, თემატური გამოფენები, წიგნისა და გაზეთის ხმამაღლა კითხვა, მკითხველთა კონფერენციები და სხვ. 1950 წელს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებში მოეწყო 875 ლექცია, რასაც ათასობით მკითხველი დაესწრო. მნიშვნელოვნად გაიზარდა მკითხველთა რაოდენობა. ბიბლიოთეკებში ამჟამად ირიცხება 32 ათასი მკითხველი, რომლიბზეც გაცემულია 620 ათასი წიგნი. ბიბლიოთეკები ჟურნალებით, ბროშურებით და გაზეთებით 1950 წლის მანძილზე მოემსახურნენ 549 ათას მკითხველს.

მშრომელთა კულტურული დასვენების მიზნით მნიშვნელოვანი ღონისძიებანი ხორციელდება კულტურისა და დასვენების პარკში.

საქალაქო საბჭოს აღმასკომმა არ უნდა შეანელოს ყურადღება და დახმარება კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებისადმი, უფრო მეტად უნდა გააუმჯობესოს მუშაობა მშრომელთა კულტურული დონის ასამაღლებლად.

გ. მეფისაშვილი
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

უკანასკნელი ფოსტა

მკითხველთა სამართლიანი საყვედურები

სამართლიან საყვედურებს გამოთქვამენ მკითხველები ჟურნალების „მეცნიერება და ტექნიკისა" და „მნათობის" რედაქციებისა და გამომცემლებისადმი იმის გამო, რომ აღნიშნული ჟურნალები დიდი დაგვიანებით გამოდის.

ჟურნალ „მეცნიერება და ტექნიკას" მკითხველი ამხ. ო. ქყონია (ბათუმი) წერს: „მეცნიერება და ტექნიკამ" გამოაცხადა კონკურსი საუკეთესოდ შედგენილ განყოფილებაზე „სხვადასხვა" და „როგორ, რა და რატომ?". კონკურსისათვის მასალის წარდგენის უკანასკნელ ვადად დანიშნული იყო 1951 წლის 1 მარტი. ბათუმელმა მკითხველებმა კი ჟურნალ „მეცნიერება და ტექნიკას" იანვრის ნომერი, რომელშიც ეს განცხადება იყო დაბეჭდილი, მივიღეთ 8 მარტს".

ჟურნალ „მეცნიერება და ტექნიკას" გამოცემის ასეთი შეუწყნარებელი დაგვიანების შესახებ გაზეთმა „კომუნისტმა" გასულ წელს (1950 წლის 15 აპრილი, № 78) მოათავსა შენიშვნა, რომლის პასუხად „მეცნიერება და ტექნიკას" რედაქციამ დასახა ღონისძიებანი ჟურნალის დროულად გამოსვლის უზრუნველსაყოფად (იხილეთ „კომუნისტის" სიგნალის შემდეგ, გაზეთი „კომუნისტი", 1950 წ. 10 მაისის № 96).

ჩანს, თავისი ეს დაპირება „მეცნიერება და ტექნიკას" რედაქციამ დაივიწყა, ისევე როგორც ჟურნალის დროულად გამოცემისათვის მკითხველების წინაშე პასუხისმგებლობა დაივიწყა „მნათობის" რედაქციამ.

ცნობისათვის აღვნიშნავთ, რომ ჟურნალ „მეცნიერება და ტექნიკას" 1951 წლის პირველი ნომერი (იანვრისა) „სოიუზპეჩატმა" გასავრცელებლად მიიღო 23 თებერვალს, ხოლო მეორე ნომერი (თებერვლისა) — 28 მარტს. „მნათობის" პირველი ნომერი გასავრცელებლად მიღებულია მხოლოდ 24 მარტს, მეორე და მესამე ნომრები კი ჯერ კიდევ არ ჩანს.

ჟურნალების გამოცემის ასეთი დაგვიანება შეუწყნარებელია.

მეტყევეთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები

ბორჯომი. (საქ. კორ.). ქალაქ ბორჯომში გახსნილია მეტყევეთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი მოკლევადიანი კურსები. კურსებზე სწავლობს ბორჯომის, ახალციხის და ხაშურის რაიონების 25 მეტყევე ინჟინერ-ტექნიკოსი.

კურსებზე მოწვეული არიან კვალიფიციური ლექტორები — სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატები ი. ჩხუბიანიშვილი, ე. დარახველიძე, გ. ლობჟანიძე, ბ. ჩიხლაძე და სხვები.

კურსების მსმენელებმა უკვე მოისმინეს ლექციები მიჩურინული აგრობიოლოგიის, მეტყევეობის, სატყეო-სამელიორაციო სამუშაოებისა და ტყესაცავი ზოლების, ტყის კულტურების სამუშაოთა მექანიზაციის, სატყეო მეურნეობის ორგანიზაციისა და ტყის დაცვის საკითხებზე.

სამშობიარო სახლი კოლმეურნეობაში

საჩხერე. (საქ. კორ.). სოფელ ჯალაურთის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობა მოწინავეა რაიონში. კოლმეურნეობის გამსხვილების შემდეგ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მშენებლობას და სოფლის კეთილმოწყობას.

კოლმეურნეობის გამგეობის თაოსნობით აქ მოეწყო საკოლმეურნეო სამშობიარო. იგი უზრუნველყოფილია კარგი ბინით და კვალიფიციური მედპერსონალით.

ბოლშევიკური პარტიის უხუცესი მოღვაწე მ. თ. ვლადიმირსკი

დილით, 2 აპრილს, ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ბოლშევიკური პარტიის ერთ-ერთი უხუცესი მოღვაწე, კომუნიზმის დიადი საქმისათვის თავდადებული მებრძოლი, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ამხანაგი მიხეილ თევდორეს-ძე ვლადიმირსკი.

მიხეილ თევდორეს-ძე ვლადიმირსკი დაიბადა 1874 წელს ქალაქ არზამასში. 90-იანი წლების დასაწყისში მ. თ. ვლადიმირსკი ჯერ კიდევ ჭაბუკი დგება რევოლუციური ბრძოლის გზაზე და ნიჟნი ნოვგოროდის სოციალ-დემოკრატიულ წრეებში პირველად ეცნობა მარქსიზმსა და მუშათა რევოლუციურ მოძრაობას. 1895 წელს მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტად ყოფნისას იგი პროპაგანდისტისა და ორგანიზატორის აქტიურ რევოლუციურ მუშაობას ეწევა მუშათა შორის, როგორც ერთ-ერთი სოციალ-დემოკრატიული წრის წევრი. 1896 წლიდან ამხ. ვლადიმირსკი მუშაობს მოსკოვის „მუშათა კავშირში", რომელიც შეიქმნა რამდენიმე ხელმძღვანელი სოციალ-დემოკრატიული და ცალკეული მუშათა წრეების გაერთიანების შედეგად. იგი აქტიურად იბრძვის ნაროდნიკების წინააღმდეგ, რათა მოსკოვში, პეტერბურგის ლენინური „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირის" მაგალითისამებრ, შეიქმნას რევოლუციური მარქსისტული ორგანიზაცია.

1896 წელს მ. თ. ვლადიმირსკი დააპატიმრეს რევოლუციური მუშაობისათვის და რამდენიმე თვის პატიმრობის შემდეგ გაგზავნეს ნიჟნი ნოვგოროდს პოლიციის მეთვალყურეობაში. 1898 წელს იგი დაბრუნდა მოსკოვს და კვლავ ჩაება რევოლუციურ მუშაობაში; რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის I ყრილობის შემდეგ იგი ხდება სოციალ-დემოკრატიული პარტიის მოსკოვის კომიტეტის წევრი. სტუდენტთა მღელვარების დროს 1899 წლის გაზაფხულზე მ. თ. ვლადიმირსკი მეორედ გადაასახლეს მოსკოვიდან, ხოლო მალე იგი მიემგზავრება საზღვარგარეთ, სადაც აქტიურად მუშაობს ლენინური „ისკრის" საზღვარგარეთულ ორგანიზაციაში.

რუსეთში დაბრუნების შემდეგ მ. თ. ვლადიმირსკი 1903 წლიდან 1905 წლამდე მუშაობს ნიჟნი ნოვგოროდის ბოლშევიკურ ორგანიზაციაში. 1905 წლის შემოდგომაზე იგი გადადის მოსკოვს და როგორც პარტიის (ბოლშევიკური ორგანიზაციის) მოსკოვის კომიტეტის წევრი, ენერგიულ მონაწილეობას იღებს 1905 წლის რევოლუციაში. დეკემბრის შეიარაღებული აჯანყების შემდეგ ამხ. ვლადიმირსკი მუშაობს პარტიის საოლქო კომიტეტში, რომელიც ხელმძღვანელობდა ჩვენი ქვეყნის ცენტრალურ-სამრეწველო რაიონში რევოლუციურ მუშაობას. 1906 წელს პოლიციამ დააპატიმრა მ. თ. ვლადიმირსკი, მაგრამ 1907 წელს გასამართლებამდე მან მოახერხა გაქცეულიყო საფრანგეთში, სადაც დიდ მუშაობას ეწევა საზღვარგარეთის ბოლშევიკურ ორგანიზაციებში და ებრძვის მენშევიკებს და ჩვენი პარტიის სხვა მტრებს.

1917 წლის ივლისში, ემიგრაციიდან რუსეთში დაბრუნების შემდეგ, მ. თ. ვლადიმირსკი მუშაობს მოსკოვის პარტიულ ორგანიზაციაში და მონაწილეობას იღებს მოსკოვში ოქტომბრის შეიარაღებული აჯანყების ხელმძღვანელობაში.

რევოლუციის დიდი ბელადების ლენინისა და სტალინის ერთგული მოწაფე, ამხ. ვლადიმირსკი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ მთელ თავის ძალას, ენერგიასა და ცოდნას ახმარს სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობის საქმეს. იგი შედის მოსკოვის საბჭოს პრეზიდიუმში. პარტიის VII ყრილობაზე ამხ. ვლადიმირსკის ირჩევენ პარტიის ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში. ურყევი ბოლშევიკი, იგი დიდ და მრავალმხრივ მოღვაწეობას ეწევა პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებში. ყველგან, სადაც უნდა გაეგზავნა პარტიას, ერთგულად ემსახურებოდა ლენინ-სტალინის პარტიის დიად საქმეს, ულმობლად ებრძოდა პარტიისა და რევოლუციის მტრებს.

1919 წლიდან 1921 წლამდე მ. თ. ვლადიმირსკი რსფსრ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილეა. 1922 წელს იგი მუშაობს უკრაინის სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ; 1925 წელს მას ირჩევენ უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური საკონტროლო კომისიის თავმჯდომარედ. 1926 და 1927 წლებში ამხ. ვლადიმირსკი სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეა.

1930 წელს ამხ. ვლადიმირსკი ინიშნება რსფსრ ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისრად, სადაც მუშაობს 1934 წლამდე. განათლებით ექიმი, იგი ენერგიულ მოღვაწეობას აჩაღებს ჩვენს ქვეყანაში სახალხო ჯანმრთელობის დაცვის განვითარებისათვის პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესასრულებლად.

1927 წლის დეკემბერში საკავშირო კ. პ. (ბ) XV ყრილობაზე მ. თ. ვლადიმირსკის ირჩევენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ. მას შემდეგ, 23 წელზე მეტი ხნის განმავლობაში, მ. თ. ვლადიმირსკი ამ პოსტზე იყო.

მ. თ. ვლადიმირსკი იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

პარტია და მთავრობა დიდად აფასებდნენ მ. თ. ვლადიმირსკის თვალსაჩინო დამსახურებას. დიდი სამამულო ომის დროს პარტიისა და მთავრობის დავალებათა შესასრულებლად წარმატებითი მუშაობისათვის იგი დაჯილდოებულ იქნა ლენინის ორდენით, ხოლო დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით მრავალი წლის წარმატებითი სახელმწიფო და პარტიული მოღვაწეობისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მ. თ. ვლადიმირსკი ლენინის მეორე ორდენით დააჯილდოვა.

სიკვდილმა ჩვენს რიგებს გამოსტაცა მ. თ. ვლადიმირსკი, უხუცესი ბოლშევიკი, კომუნისტური პარტიის თვალსაჩინო მოღვაწე, რომლის ნათელი ცხოვრება პარტიისა და ხალხისათვის თავდადებული სამსახურის მაგალითს წარმოადგენს.

ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ამხ. ვლადიმირსკი დაადგა რევოლუციურ გზას, გახდა ლენინ-სტალინის დიადი პარტიის მებრძოლი. ჩვენს პარტიასთან ერთად, მისი ჩასახვის დღიდანვე, ამხ. ვლადიმირსკიმ განვლო დიდი და სახელოვანი გზა, მთელი თავისი ძალები მოახმარა თავის ხალხს, დიდ საბჭოთა სამშობლოს, კომუნიზმის მშენებლობის საქმეს. მიხეილ თევდორეს-ძე ვლადიმირსკის ხსოვნა სამუდამოდ დარჩება საბჭოთა ადამიანების გულში.

რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოსაგან

რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და მინისტრთა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყებიან ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი უხუცესი მოღვაწის ამხანაგ მიხეილ თევდორეს-ძე ვლადიმირსკის გარდაცვალებას.

უკრაინის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტისაგან

უკრაინის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ბოლშევიკური პარტიის თვალსაჩინო მოღვაწე, უხუცესი ბოლშევიკი-რევოლუციონერი, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე მიხეილ თევდორეს-ძე ვლადიმირსკი.

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის პარტიის ბრძოლის წლებში და ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის პერიოდში ამხ. ვლადიმირსკი მთელ თავის ძალას ახმარდა ლენინ-სტალინის პარტიის დიად საქმეს.

მრავალი წლის განმავლობაში ამხანაგი ვლადიმირსკი მუშაობდა უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკაში ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა სამუშაოზე. ბოლშევიკური პარტიის ერთგული შვილის მიხეილ თევდორეს-ძე ვლადიმირსკის ხსოვნა მუდამ დარჩება საბჭოთა უკრაინის მშრომელების, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხის გულში.

უკრაინის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალური კომიტეტი

სამედიცინო დასკვნა

ამხ. მ. თ. ვლადიმირსკის ავადმყოფობისა და სიკვდილის მიზეზის შესახებ

ამხ. მ. თ. ვლადიმირსკი, დაბადებული 1874 წელს, მრავალი წლის განმავლობაში დაავადებული იყო ჰიპერტონიით, რომელიც გაურთულდა საერთო ათეროსკლეროზით უმეტესად თავის ტვინის, გულისა და თირკმლების სისხლძარღვთა დაზიანებით, აგრეთვე ღვიძლის ციროზით.

სიკვდილი გამოიწვია გულისა და სისხლძარღვთა მზარდმა ნაკლოვანებამ.

კრემლის სამკურნალო-სანატორიული სამმართველოს უფროსი, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი, პროფესორი **პ. ი. ეგოროვი.**

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფესორი **მ. ს. ვოვსი.**

პათოლოგ-ანატომი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი **ფ. დ. აგრიკოლოვა.**

კოლმეურნეობამ ნოღაის ველზე შექმნა მეძროხეობის ფერმა, რომელშიც მაღალპროდუქტიული ძროხები ჰყავთ. მთიელმა გოგონებმა სონა ზაქაიძემ, ნატომ, ანიკო და რუსუდან ჯალმაიძეებმა, ნატალია ბუთხუზმა, მარიამ ნაზღაიძემ და დუსია ბურდულმა ზამთარი აქ გაატარეს, ერთგულად მოუარეს ძროხებს, შეინარჩუნეს ნამატი, მიაღწიეს პირუტყვის მაღალ პროდუქტიულობას.

მთიელ ქალებს მშვენივრად მოუწყიათ საცხოვრებელი ბინა, პირუტყვის სადგომი, სახბორეები.

როცა ღამდება, გოგონები ბინაში თავს მოიყრიან, მოიგონებენ მშობლიურ სოფელს და შემოსძახებენ ქართულ სიმღერებს, რომლებშიც ჩაქსოვილია საბჭოთა ადამიანის განუსაზღვრელი სიყვარული შრომისადმი, სამშობლოსადმი, დიდი ბელადის — ამხანაგ სტალინისადმი.

მომთაბარე მწყემსებს დიდ დახმარებასა და ხელმძღვანელობას უწევენ პარტიის რაიონული კომიტეტების აქ მყოფი მდივნები ამხანაგები შალვა მწითური, ვასილ მარგიევი და სხვები, რაიონების ხელმძღვანელი მუშაკები ამხანაგები ალექსი ჩოხელი, გიორგი თანიაშვილი, საძოვრების სამმართველოს უფროსი დავით გიგაური.

კარგად მუშაობენ მეცხოველეობის სპეციალისტები ივანე გამყრელიძე, ივანე პეტრიაშვილი, სარდიონ საძაგლიშვილი, სამსონ ბახტაძე, ილია ყველაიძე, ლევან მიკირტიჩიანი, ივანე ურდია, გიორგი ანთაური. მათი შრომის შედეგიცაა, რომ წელს პირუტყვი ჯანსაღად არის.

დოლის ჩატარებასთან ერთად ქართველი მეცხვარეები გაცხოველებით ემზადებიან ცხვრის პარსვისა და წველის მოსაწყობად. საზამთრო საძოვრებზე პარსვა შედარებით ახალი საქმეა, რამაც კარგი ნაყოფი გამოიღო, რადგან ცხვარი მგზავრობის დროს აღარ კარგავს მატყლს.

იწყება მზადება საზაფხულო საძოვრებზე გასამგზავრებლად. რვაასი კილომეტრი უნდა გაიარონ აქ მყოფმა ფარებმა საქართველომდე. ცხვრის ასეთ დიდ მანძილზე გადარეკვა იოლი საქმე როდია. მაგრამ ჩვენ გვჯერა შრომაში გაკაჟებული მწყემსებისა, რომლებიც ამბობენ:

— კარგ მწყემსს სიძნელე ვერ შეაშინებს.

აპრილის ბოლოს უთვალავი ცხვარი დაიძვრება საქართველოს მთებისაკენ. მრავალ კილომეტრზე გაიშლება დუშეთის, თიანეთის, ლენინგორელების ფარები, სიხარულით გასცდებიან ქართველი მწყემსები დარიალის ვიწროებს, რათა ახალი შრომითი წარმატებით წარსდგნენ ქართველი ხალხის წინაშე.

IV

ნოღაის ველზე ყოველწლიურად ჩვენი რესპუბლიკიდან საშუალოდ ოთხი ათას ხუთასი მწყემსი იმყოფება. უკანასკნელ წლებში ბევრი რამ გაკეთდა მათი კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად. დუშეთის, ლენინგორის, სტალინირისა და სხვა რაიონების ბევრმა კოლმეურნეობამ აგო აქ მწყემსთათვის კარგად მოწყობილი საცხოვრებელი ბინა, აბანო. სოფელ ჩორნი რინოკსა და ბაჯიგანში მომთაბარეთათვის გახსნილია საავადმყოფოები, არის მაღაზიებიც.

რაიონების ხელმძღვანელი მუშაკები ახლა მეტ ყურადღებას აქცევენ მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას. მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ჩვენ ვიყავით მრავალ ისეთ ბინაში, სადაც მწყემსებს უკანასკნელი 2-3 თვის მანძილზე გაზეთი არ მიუღიათ. აღარაფერს ვიტყვით იმაზე, რომ მეცხოველეებს საშუალება არა აქვთ ნახონ კინოსურათები, მოისმინონ ლექცია-მოხსენებები.

საზამთრო საძოვრებზე აუცილებლად საჭიროა გაიგზავნოს მოძრავი კინოდანადგარი, მოძრავი ბიბლიოთეკა, მოეწყოს ლექცია-მოხსენებები, მოწესრიგდეს ჟურნალ-გაზეთების თავის დროზე მიწოდება. ეს დიდად შეუწყობს ხელს მეცხოველეებს მათს შემოქმედებითს შრომაში.

საზამთრო საძოვრებზე ყველა კოლმეურნეობას უნდა ჰქონდეს კულტურულად მოწყობილი ბინა, აბანო. აუცილებელია აგრეთვე გაიხსნას საავადმყოფო არტიზანში, რომელიც საძოვრების ძირითადი მასივიდან ძალიან შორს არის.

გუდამაყრის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის წარჩინებულმა მწყემსმა თედო აფციაურმა აღნიშნა:

— ძველი მამა-პაპური ნაბადი მწყემსისათვის კარგია, მაგრამ იგი აღარ აკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნილებას. რა კარგი იქნებოდა გვქონდეს წყალგაუვალი ტანსაცმელი, ანდა ტილოს მსუბუქი კარვები, რომლებშიც წვიმის დროს თავის შეფარება შეიძლებოდეს...

თედო მართალია. ასეთი რამის შოვნა მართლაც ძნელია, რადგან ჩვენი მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის მუშაკებს ამაზე არ უზრუნიათ. ამის გაკეთება კი მათ ადვილად შეუძლიათ.

V

როცა ეს სტრიქონები იწერება, ნოღაის ველზე ღამეა. მოწმენდილი ციდან იცქირება ბადრი მთვარე, ვარსკვლავებითაა მოჭედილი ცის თაღი. სიჩუმე დგას თვალუწვდენელ ველზე.

სძინავთ მორიგეობისაგან თავისუფალ მწყემსებს, სძინავთ ცხვრებსა და ბატკნებს. არ სძინავს მხოლოდ კომკავშირელ მწყემს გიორგი ზურაბაშვილს. ჩალის კონაზე ჩამომჯდარა ჩარგლელი ბიჭი და გრძნობით დამღერის ფანდურს:

ყიზლარს წერილი დავწერე,
კობტად დავკეცე ორადა;
გამოვატანე ფოსტასა
მისამართია სწორადა...

ვინ იცის ვის უმღერის ჭაბუკი მეცხვარე. იქნებ მას მშობლიურ ფშავში გულის ტოლი ჰყავს, ან იქნებ დედა მოაგონდა, რომელიც შეიძლება აი ამ წუთში სასახელო საქმისათვის შორს წასულ შვილზე ფიქრობს.

შრომითი წარმატება, საგმირო საქმეები, მახლობლებთან მალე შეხვედრა ვუსურვოთ გიორგისა და მის მეგობრებს, საკოლმეურნეო მეცხოველეობის მძლავრი აღმავლობის ენთუზიასტებს.

ა. თოძაძე
„კომუნისტის" სპეციალური კორესპონდენტი
სოფელი ჩორნი რინოკი, გროზნოს ოლქი.
1951 წლის მარტი.

ჯანმრთელობის დაცვის საქმე უნდა გაუმჯობესდეს

ქ. რუსთავის მცხოვრებთა ჯანმრთელობის დაცვისათვის სერიოზული ღონისძიებები ხორციელდება. ამ მიზნით გამოყოფილი ასიგნობანი ყოველწლიურად მატულობს. ამჟამად ქალაქში მუშაობს საავადმყოფო, სამშობიარო სახლი, პოლიკლინიკა, ბავშვთა საავადმყოფო, ტუბდისპანსერი, ვენდისპანსერი, დედათა და ბავშვთა კონსულტაციები, ჯანმრთელობის დაცვისა და საფერშლო პუნქტები, საუკეთესოდ მოწყობილი ქირურგიული ბლოკი, ეპიდემიოლოგიური და სასწრაფო დახმარების სადგურები და სხვ.

ქალაქის მცხოვრებთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს ემსახურება 70 ექიმი და 120-ზე მეტი ექიმის თანაშემწე. მათ შორის ბევრმა თავდადებული შრომით მშრომელთა საყოველთაო პატივისცემა დაიმსახურა. ასეთები არიან ქირურგიული განყოფილების გამგე გ. გოგიბერიძე, თერაპიული განყოფილების გამგე პ. ახალაძე, ექიმები პ. კუნჭულია, ლ. ლორთქიფანიძე, ქ. ქადაგიძე, ო. ჭიჭინაძე, ა. ოზბეთელაშვილი. ენერგიული შრომით თავი ისახელეს აგრეთვე ახალგაზრდა ექიმებმა ლ. აბრამიშვილმა, ფ. ლაბაძემ, მ. მესხმა, ქ. მახარაძემ და სხვებმა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს სამალარიო სადგურის (უფროსი გ. ბრეგვაძე) ნაყოფიერი მუშაობა. აქ განხორციელდა მალარიის საწინააღმდეგო მთელი რიგი ღონისძიებანი.

ქალაქი დაყოფილია დიდ და პატარა უბნებად, რომლებზეც მიმაგრებული არიან ჯანმრთელობის დაცვის მოწინავე მუშაკები. ასეთი დანაწილება აადვილებს ქალაქის მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის სისტემატურად შემოწმებას. საექიმო ბრიგადები ადგილებზე ხშირად აწყობენ პროფილაქტიკურ აცრებს.

ამ წარმატებათა მიუხედავად ქალაქის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურებისა და განსაკუთრებით სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში არის მთელი რიგი ნაკლოვანებანი. მაგალითად, ქალაქში დღემდე არ არის შექმნილი სანიტარული კვანძები და დასუფთავების ტრესტი, რის გამო რეგულარულად არ ხდება ქალაქის ცალკეული უბნების ქუჩებისა და ტროტუარების დაგვა-დასუფთავება. სათანადო კონტროლის უქონლობის გამო ქალაქში ხშირია სანიტარული წესების დარღვევის შემთხვევები. არადამაკმაყოფილებელია აგრეთვე კომუნალური მომსახურება.

ქალაქის საავადმყოფოში სივიწროვეა. საავადმყოფოს არა აქვს თავისი აფთიაქი და ინფექციური განყოფილება. სამზარეულოც სათანადო ფართობის უქონლობის გამო პოლიკლინიკის შენობის ერთ პატარა ოთახშია მოთავსებული. ყოველივე ეს საგრძნობლად უშლის ხელს საავადმყოფოს ნორმალურ მუშაობას.

უფრო მეტად არის გადატვირთული სამშობიარო სახლი, რომელიც 20-საწოლიანია. ზოგჯერ იძულებული ხდებიან აქ 30-მდე მშობიარე მოათავსონ. ქალაქის ზრდასთან ერთად დღითიდღე იზრდება მშობიარეთა რიცხვი. ეს სათანადოდ უნდა გაითვალისწინოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ და გააფართოოს სამშობიარო სახლი.

საჭირო სამუშაო ფართობით უზრუნველყოფილი არ არიან მთელი რიგი სხვა სამკურნალო დაწესებულებანი.

ქალაქის სამკურნალო დაწესებულებათა ახალი კერების მშენებლობა, რასაც ამიერკავკასიის მეტალურგმშენის ტრესტის სამმართველო ხელმძღვანელობს, ნელი ტემპით მიმდინარეობს. მაგალითად, მიმდინარე წლის პირველი თებერვლისათვის უნდა დამთავრებულიყო ახალი საავადმყოფოს ინფექციური განყოფილების კორპუსი, 25 თებერვლისათვის კი — ცენტრალური პოლიკლინიკა, მაგრამ ეს დავალება არ შესრულებულა. გეგმით გათვალისწინებულ დროში ასევე არ დამთავრებულა აბანო-სამრეცხაო კომბინატის მშენებლობა.

საჭიროა გადაჭრით აღმოვფხვრათ აღნიშნული ნაკლოვანებანი და მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს ნორმალური პირობები შევუქმნათ.

გ. გელაშვილი
„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა წინასწარი თათბირი

პარიზი, 2 აპრილი. (საქდესის სპეც. კორ.). დღეს ოთხი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა თათბირი, რომელიც მოწვეულია საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს დღის წესრიგის შესამუშავებლად, მუშაობას განაგრძობდა. სხდომას თავმჯდომარეობდა საფრანგეთის წარმომადგენელი პაროდი.

პირველი გამოვიდა პაროდი, რომელმაც ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის დელეგაციათა სახელით შეიტანა ახალი წინადადება. ეს წინადადება, როგორც დასავლეთის სახელმწიფოების წარმომადგენლებმა განაცხადეს, მათ მიერ წარდგენილი დღის წესრიგის მთელ პროექტს მოიცავს.

ამ პროექტში ნათქვამია:

„1. განხილვა ევროპაში არსებული საერთაშორისო დაძაბულობის მიზეზების და შედეგების და იმ ღონისძიებებისა, რომლებიც საჭი- [illegible]

[illegible] სახელმწიფოს (ამერიკის შეერთებული შტატების, სსრ კავშირის, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის) შეიარაღებული ძალების შემცირებას, თუ შეიარაღებული ძალების შემცირებას საერთოდ, როგორც ნათქვამია სამი დელეგაციის წინადადებაში. თავიდანვე, განაცხადა სსრ კავშირის წარმომადგენელმა, ჩვენ შემოვიტანეთ წინადადება ოთხი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების შემცირების შესახებ და მხედველობაში გვქონდა, რომ ეს არის მშვიდობის უზრუნველყოფის გადამწყვეტი საკითხი. ჩვენ აღვნიშნავდით, რომ ძნელია იპოვო ადამიანი, რომელიც არ დაეთანხმოს, რომ ძირითადი საკითხი, შემცირდება თუ არა სწორედ ოთხი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალები. დღემდე გვეუბნებოდნენ, რომ პოლიტიკა, რომელსაც ახლა დასავლეთის სახელმწიფოები აწარმოებენ, თითქოს იმით არის გამოწვეული, რომ საბჭოთა კავშირს მრავალრიცხოვანი შეიარაღებული ძალები ჰყავს. ეს მტკიცება, რო- [illegible]

[illegible] თოდ არა სურს შეიარაღებული ძალების შემცირება, და ვერავითარი ფორმულირება ამას ვერ მიჩქმალავს.

გრომიკომ აგრეთვე აღნიშნა, რომ სამი სახელმწიფოს დელეგაციების მიერ შემოტანილი დღის წესრიგის ახალი პროექტი არ შეიცავს იტალიასთან სამშვიდობო ხელშეკრულების შესრულების საკითხს იმ ნაწილში, რომელიც ტრი- [illegible]

[illegible] სათვის. სწორედ ამიტომ სამი სახელმწიფოს ახალ პროექტს უცნაური მახინჯი ფორმა აქვს, რამდენადაც ამ პროექტში მიჩქმალულია ერთ-ერთი ძირითადი პოლიტიკური ამოცანა—შეიარაღებული ძალების შემცირება.

შემდეგ გრომიკომ აღნიშნა, რომ შეიარაღებული ძალების შემცირების საკითხის მეორე მხარე ის არის — საქმე უნდა ეხებოდეს ოთხი [illegible]

[illegible] ეთანხმებიან. ისინი წინადადებას იძლევიან ეს საკითხი განხილულ იქნას „საერთაშორისო მასშტაბით“, ე. ი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. გამოდის მოჯადოებული წრე. საბჭოთა დელეგაციას არ შეუძლია არ გამოიტანოს დასკვნა, რომ იმას, ვინც ეწინააღმდეგება ოთხი სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების შემცირების საკითხის განხილვას, ნამდვილად საერ- [illegible]

კორეის ამბები

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

ფხენიანი, 2 აპრილი. (საქდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობის 2 აპრილის ცნობაში ნათქვამია:

სახალხო არმიის ნაწილები ჩინელ მოხალისეთა ნაწილებთან ერთად ყველა ფრონტზე განაგრძობენ გაცხარებულ ბრძოლებს და მნიშვნელოვან ზარალს აყენებენ მოწინააღმდეგეს ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

დასავლეთ და ცენტრალურ ფრონტებზე სახალხო არმიის ნაწილებმა ამ უკანასკნელ რამდენიმე დღეში მოსპეს, დაჭრეს და ტყვედ წამოიყვანეს მოწინააღმდეგის 3 ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ვაშინგტონის თათბირის გარშემო

ნიუ-იორკი, 1 აპრილი. (საქდესი). ვაშინგტონის თათბირზე ლათინური ამერიკის ქვეყნების ზოგიერთი დელეგატი აშკარად ხალხის მასების უკმაყოფილების ზეგავლენით ცდილობს არ დაეთანხმოს მარტო იმისათვის ფართო მზადების პროგრამის განხილვას, არამედ მოითხოვს, რომ შეერთებულმა შტატებმა დათმობა მოახდინონ ეკონომიურ პოლიტიკაში ლათინური ამერიკის ქვეყნების მიმართ.

როგორც ვიცით, არგენტინის, მექსიკისა და [illegible]

[illegible] ბისა და ახალი ომისათვის მზადების ამერიკულ პროგრამას.

ტრიმმა, კერძოდ, მოითხოვა, რომ ლათინური ამერიკის ქვეყნებმა შეამციროს სამრეწველო მოხმარების საქონლის წარმოება, გაადიდონ ნედლეულის მოპოვება და პირველადი დამუშავება და მოახმარონ იგი საჭურვლის წარმოებას. ტრიმის მიერ წამოყენებული პროგრამა შემდეგ მოითხოვს, რომ ამერიკის კონტინენტის ქვეყნებმა დააწესონ გასაყიდი საქონლის ფასების კონტრო- [illegible]

[illegible] ამ მიზნით, რომ შეემსუბუქებინა ლათინური ამერიკის დელეგატების უკმაყოფილება მათი საარსებო ეკონომიური პრობლემების გადაუწყვეტლობის გამო, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ ეკონომიურ საკითხებში ტორპმა წამოაყენა ეკონომიურ ღონისძიებათა ბუნდოვანი პროგრამა, რომელიც არსებითად ხელს უწყობს შეიარაღ- [illegible]

[illegible] საექსპორტო ფასები უკონტროლოდაა დატოვებული“. როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი მექსიკოდან იუწყება, ყავის მექსიკელ ექსპორტიორთა ასოციაციამ განაცხადა, რომ მექსიკა შეწყვეტს ამერიკის შეერთებულ შტატებში ყავის შეტანას, თუ ამერიკის მთავრობამ 1950 წლის დონეზე გაყინა ფასები.

ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების წარმომადგენელთა ბნელი მაქინაციები

საზღვაო კომისიასთან დაკავშირებული ახალი სკანდალი ამერიკის შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი, 31 მარტი. (საქდესი). მას შემდეგ, რაც წარმომადგენელთა პალატის ყოფილმა წევრმა დემოკრატმა კეისიმ უარი უთხრა სენატის ქვეკომისიას, რომელიც რეკონსტრუქციული საფინანსო კორპორაციის მაქინაციებს იკვლევს, დაესახელებინა თავისი თანამონაწილენი საზღვაო გემების გაყიდვის სპეკულაციურ გარიგებებში, გაზეთ „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის“ კორესპონდენტმა სთხოვა საზღვაო კომისიის ადმინისტრატორს ვიცე-ადმირალ კოჩრეინს ეცნობებინა სახელები კეისის მეთაურობით არსებული „ამერიკენ ოვერსის ტანკერ კორპორეიშენის“ აქციონერებისა. კოჩრეინმა უპასუხა, რომ ამ კომპანიასთან დაკავშირებული იყვნენ გადამდგარი ადმირალი ჰელსი, ყოფილი სახელმწიფო მდივანი სტეტინიუსი და სახელმწიფო მდივნის ყოფილი თანაშემწე ჟულიუს ჰოლმსი.

იუგოსლავიაში თავს დაესხნენ უნგრეთის დროებით საქმეთა რწმუნებულს

ბუდაპეშტი, 2 აპრილი. (საქდესი). უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საინფორმაციო განყოფილება [illegible]

[illegible] მანქანის ნომერი ჩაიწერა, აგენტებმა თან წაიყვანეს.

რამდენადაც ბელგრადში შეუძლებელი იყო [illegible]

მსოფლიო პირველობისათვის ჭადრაკში

მ. ბოტვინიკ — დ. ბრონშტეინის მატჩი

1 აპრილს მერვე პარტიით დამთავრდა მატჩის პირველი მეოთხედი. თეთრებით თამაშობდა ბრონშტეინი. მოწინააღმდეგეებმა აირჩიეს ალეხინის დაცვის რთული და მწვავე ვარიანტი. წინა შეხვედრებისაგან განსხვავებით დასაწყისი გათამაშდა სწრაფი ტემპით. ალბათ, ორივე გროსმაისტერი კარგად იყო მომზადებული ამ სისტემისათვის.

უკვე მე-17 სვლაზე მოხდა ლაზიერების, ხოლო შემდეგ ეტლების გაცვლა, მაგრამ მდგომარეობა დაძაბული დარჩა. თეთრებს ლაზიერის ფლანგის უკიდურეს ხაზებზე შექმნეს ორი ერთმანეთთან დაკავშირებული გამსვლელი პაიკი. ორი რაშის დახმარებით ბრონშტეინს ისინი წინ მიჰყავდა. სამაგიეროდ, ცენტრში მოისხანედ გამოიყურებოდა შავი პაიკების წყება, ხოლო ბოტვინიკის რაშმ და მხედარმა წარმატებით შეაჩერეს თეთრი პაიკები

მაშინ შეიქმნა პოზიცია, რომელშიც ვერც ერთმა მხარემ ვერ შეძლო გაეძლიერებინა თავისი მდგომარეობა. როგორც თეთრი, ისე შავი [illegible]

[illegible] „ჩვ-პასუხის საღამო. სასოფლო ლექტორიუმის ხელმძღვანელმა ამხ. ელ. ბაზრაშვილმა წაიკითხა ლექცია „ომისშემდგომ პერიოდში სოფლის მეურნეობის აღმავლობის შესახებ“. ნაყოფიერად მუშაობენ აგრეთვე ქვემო მაჩხაანისა და დაბა წნორის კლუბები და ბიბლიოთეკები.

სტუდენტთა თვითმოქმედი წრის სპექტაკლი

4 აპრილს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს ზოოტექნიკურ - სავეტერინარო ინსტიტუტის თვითმოქმედი წრე სომხური დრამის სახელმწიფო თეატრში (შაუმიანის ქ. № 8) დადგამს გ. გაგუას სამმოქმედებიან პიესას „სტუდენტები“.

დადგმა ეკუთვნის სტალინური პრემიის ლაურეატს, საქართველოს სსრ სახალხო არტისტს ს. ზაქარიაძეს.

კასპოველის სახელობის საქალაქო პარკაბინეტში

4 აპრილს, საღამოს 8 საათზე, შედგება საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი მაღალი ტიპის წრეების პროპაგანდისტთა სემინარი (სწავლების პირველი წელი). ლექტორები: პროფესორი დ. ბუდილევი და დოცენტი ი. შარაშენიძე.

ლექცია

5 აპრილს აკადემიკოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის აუდიტორიაში (ფურცელაძის ქ. № 1) პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების ნამდვილი წევრი, ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი გ. გამსახურდია წაიკითხავს საჯარო ლექციას თემაზე: „ოჯახი კომუნისტურ საზოგადოებაში“.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ბ. ნანიტაშვილი

საქართველოს რადიოინფორმაციის კომიტეტის გადაცემათა პროგრამა

(რადიოსადგურებით 1571 და 49,59 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით)

6 აპრილს

6.45 — რუსინის უვერტიურა „ვილჰელმ ტელი“. 9.20 — ქართული ხალხური სიმღერები. 18.10 — კონცერტი რადიოკომიტეტის სოლისტის ე. წვერავას შესრულებით. 18.30 — გადაცემა მოსწავლეთათვის. 19.15 — სიმფონიური მუსიკის კონცერტი. 20.00 — მუსორგსკის ოპერა: „ბორის გოდუნოვის“ ტრანსლაცია თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრიდან. პირველ ანტრაქტში: საუბარი: „ინგლის-ეგვიპტის დამოკიდებულების გამწვავება. მეორე ანტრაქტში: გორელიკის ნაწარმოები: „მოთხრობა სტალინური პრემიის ლაურეატზე“. მესამე ანტრაქტში: რესპუბლიკური ცნობები რუსულ ენაზე. მეოთხე ანტრაქტში: უკანასკნელი ცნობები [illegible]

დღეს კინოებში

რუსთაველის სახელობის, „ოქტომბერი“, „კოლხიდა“—„საჯარიმო მოედანი“; „ამირანი“ —„ცის ნელმავალი“; „სპარტაკი“—„მელნიერი [illegible]

დღეს თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — „წითელი ყაყაჩო“ (მე-5 აბ.); რუსთაველის სახელობის — „ქეთილი ნების ადამიანები“; მარჯანიშვილის სახელობის — „რომეო და ჯულიეტა“; გრიბოედოვის სახელობის — „უკანასკნელნი“ (მე-14 აბ.); სომხური დრამის — „ოქროს ქალაქი“; მუსიკალური კომედიის—„ერთხელ გაზაფხულზე“; მოზარდ მაყურებელთა ქართული—„მარსელელი ბიჭები“ (პრემიერა, 75-ე აბ., დასაწყისი 8 საათზე); მოზარდ მაყურებელთა რუსული—„მისი მეგობრები“ (144-ე აბ. 7 საათზე); ხანკულტურის თეატრი — „ჩემი სილამაზე“; სახელმწიფო ცირკი — დიდი საცირკო წარმოდგენა.

მოქალაქე არჩილ ნიკოლოზის-ძე ენაგელმა, მცხოვრებმა ნავთლუღის ქ. № 19, აღძრა საქმე I ახალშენის ქ. № 24 მცხოვრებ მოქალაქე ელენე დავითის ასულ ფეიქრიშვილთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის III უბნის სახალხო სასამართლო.

კ. მეგრელიძე, ვ. გიოშვილი, ი. მუჯირი, შ. გველესიანი, ე. გელაშვილი, შ. საბანაძე, ო. ტაბატაძე, დ. ყიფიანი, დ. ლოლიძე თანაგრძნობას უცხადებენ შ. ბერაძეს მისი მამის ფილიპე ბერაძის გარდაცვალების გამო.

[illegible]